всегда и везде у грааля есть одно ярко выраженное свойство - он выражает неосуществленные мечты человечества, стремление к обновлению, возрождению, очищению.

Все это в “космической” целостности воплотилось в творчестве Гр. Робакидзе.

**<u>По данной теме опубликованы следующие труды:</u>**

1. Мировая и национальная символика грааля - Тезисы докладов Республиканской конференции - “Актуальные проблемы перевода и литературных взаимоотношений, Тб. 1994 г.
2. Символика грааля - Материалы I научной сессии филологического факультета, посвященной 80-летию Тбилисского государственного университета им. Ив. Джавахишвили, 2-3 апреля 1998 г., стр. 98-100.
3. Этимология грааля - Материалы II научной сессии филологического факультета ТГУ и филиалов, посвященной 120-летию со дня рождения академика К. Кекелидзе, 15-17 апреля 1999 г. стр. 108-109.
4. Григол Робакидзе о граале и о “Хранителях грааля”-Материалы научной сессии филологического факультета ТГУ, посвященной 90-летию со дня рождения Гр. Кикнадзе, 19-21 мая, 1999 г., стр. 88-92.

808-03
Б-484

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლალი ალექსანდრეს ასული ნემსაძე

# გრაალის ქართული სიმბოლიკა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში

10.01.12 - თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა
თეორია და ისტორია

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის
**ავტორეფერატი**

თბილისი
1999

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულ ლიტერატურათა, ლიტერატურულ ურთიერთობათა და თარგმანის კათედრაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ოთარ ბაქანიძე

ექსპერტი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

ოფიციალური ოპონენტები: 1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მაყვალა ქართველიშვილი
2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი თამარ მღებრიშვილი

წამყვანი ორგანიზაცია: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება 1999 წლის 24/XII, 14⁰⁰ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადისერტაციო საბჭოს P 10.01 C № 5 სხდომაზე.

მისამართი: 380028, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №1

დისერტაციის გაცნობა შეიძლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ავტორეფერატი დაიგზავნა 22 XI 1999 წ.

Библиотека Тбилисского гос. педагогического института иностранных языков им. И. Чавчавадзе

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თ. კიკაჩეიშვილი

— 1763 —

## ნაშრომის ზოგადი დახასიათება

### 1. თემის აქტუალობა

ლიტერატურული ურთიერთობები სალიტერატურო ცხოვრების ერთ-ერთი უმთავრესი ასპექტია, რომლის შესწავლისადმი ინტერესი სულ უფრო მატულობს მთელს მსოფლიოში. მკვლევართა ყურადღების ცენტრში მოექცა როგორც ლიტერატურის თანამედროვე პრობლემები, ისე წარსულის გამოცდილების წარმოჩენა-გააზრება. ამ გარემოებით არის განპირობებული წარმოდგენილი ნაშრომის აქტუალობა.

გრაალი სიმბოლიკაა, სიმბოლიკა კი ღვთაებრივ წრებრუნვაში მოცემული სამყაროს მთლიანობის გააზრებაა, „კოდია" – ერთდროულად აღმნიშვნელი სულიერის (შინაგანის) და გარეგანის (ხთონურის), დამაკავშირებელი ბუნებრივი და სოციალური კოსმოსის.

ამ ღვთაებრივ წრებრუნვაში წარმოიშობა მითი, რომელიც გრაალს, როგორც სიმბოლოს, სხვადასხვაგვარად გაიაზრებს სხვადასხვა ხალხის წარმოდგენებში. გრაალი ადამიანის მეხსიერებაში დაგროვილ ცოდნას იტევს. ამ ცოდნას ადამიანი საწყისებთან მიჰყავს, ხოლო ინდივიდუალური დაბრუნება საწყისისაკენ აღიქმება იმ პიროვნების განახლებისა და ხელახალი წარმოშობის უნარად, ვინც ამ განახლებას იწყებს.

არა მხოლოდ პიროვნების, საუკუნის განახლების წყურვილითაც იწყება ჩვენს ეპოქაში „დაბრუნება" საწყისთან, რაც, თავისთავად, კვლავ წარმოაჩენს გრაალის ღირებულებას და გზას უხსნის ახალ ეტაპს როგორც გრაალის ძიებისა, აგრეთვე, გრაალის კვლევისაც.

### 2. კვლევის მიზანი და ამოცანები.

ჩვენს ნაშრომში შესწავლილია გრაალის სიმბოლიკა ქართულ ლიტერატურაში და წარმოჩენილია იგი მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში. ქართული ლიტერატურის